დიპლომატიური ურთიერთოგბეგის დაწყება საქართველოსა და თურქეთს შორის და პირველი ფუნდამენტური ხელშეკრულება

მაია მანჩხაშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ ფოსტა: maia.manchkhashvili@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-4321-977X

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპ-ლომატიური ურთიერთობების დაწყებისა და პირველი ფუნდამენტური ხელშეკრულების შესახებაა. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერამ განსაზღვრა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები და ხასიათი.

ფუნდამენტური ხელშეკრულებები, როგორც წესი, არის ბაზისი, რომელზეც შენდება მომავალი ურთიერთობები ქვეყნებს შორის. საქართველოსა და თურქეთს შორის ასეთი ხელშეკრულება გაფორმდა 1992 წლის 30 ივლისს. ამ ხელშეკრულებაში არაერთ საინტერესო საკითხზეა აქცენტი გაკეთებული, რომლებიც ხშირად ხდება მკვლევართა განხილვის თემა და ჩვენ ვეცადეთ ჩვენი მოკრძალებული მიდგომები გამოგვეხატა მათზე. კერძოდ, მისი ძირითადი შინაარსის გარდა, სწორედ ამ ხელშეკრულებაშია დამოწმებული 1921 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ყარსის ხელ-შეკრულება, რომელიც ადგენს საქართველოსა და თურქეთს შორის სადემარკაციო ხაზს. სწორედ ამ ჩანაწერის მიხედვით თურქეთი ერთადერთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოა, რომელთან საზღვარიც ოფიციალურად დადგენილია.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი; საქართველო; ფუნდამენტური ხელშეკრულება; ურთიერთო-ბები; დიპლომატია.

***

შესავალი. თურქეთის რესპუბლიკა საქართველოსათვის არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელო-ვანი მეზობელი სახელმწიფო და სტრატეგიული პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც მრავალ-მხრივ საინტერესო და სასარგებლოა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობებს საფუ-ძველი ჩაეყარა 1992 წლის 21 მაისს, როცა თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლის 16 დეკემბერს. ამ პერიოდიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის არაერთი ხელშეკრულება გაფორმდა და ურთიერთობები გაღრ-მავდა. მაგრამ, ორმხრივი ურთიერთობები იწყება ფუნდამენტური ხელშეკრულებით, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1992 წელს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი ამბობდა: "ვამაყობ იმით, რომ წილად მხვდა პატივი ხელი მოვაწერო დოკუმენტს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ" (კომახიძე, 1994: 6).

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სწორედ თურქეთის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც არა მარტო დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა სა-ქართველოსთან, არამედ, დახმარების არაერთი პაკეტი შესთავაზა საქართველოს.

1992 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს ეწვია თურქეთის მთავრობის ოფიციალური დე-ლეგაცია. დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. მოლაპარა-

კებებისას განიხილეს ორივე მხარისათვის ბევრი აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი. ორმხრივი მუშაობის შედეგად უკვე მომზადებულ ფუნდამენტურ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა იმავე წლის 30 ივლისს; ეს იყო ხელშეკრულება "საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ" (ხელშეკრულება: 1992). ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1994 წლის 13 იანვრიდან ორივე ქვეყნის პარლამენტებში რატიფიცირების შემდგომ. ამ ხელშეკრულების მიხედვით ორივე ქვეყანა აღიარებდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვეობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამოთქვამდნენ თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს.

მეთოდები: სტატიაზე მუშაობისას, თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, სოციალურ მეცნიერებებში კარგად აპრობირებული აკადემიური კვლევის მეთოდი - დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის დახმარებით გავაანალიზეთ ჩარჩო ხელშეკრულების ძირითადი თეზისები და ვეცადეთ ობიექტური დასკვნების გაკეთებას.

შედეგები: საქართველო-თურქეთს შორის პირველ ფუნდამენტურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე განევითარებინათ და "გაეფართოვებინათ ურთიერთობები პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტრანსპორტის, კულტურის, ინფორმაციის, ტურიზმის, სპორტისა და სხვა დარგებში" (ხელშეკრულება: 1992).

აღნიშნული ფუძემდებლური ხელშეკრულება მრავალმხრივაა საინტერესო; მეცნიერთა შორის დავას იწვევს მასში ყარსის ხელშეკრულების მოხსენიება და დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხზე. კერძოდ, ხელშეკრულების დასაწყისშივე აღიშნულია: „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით. მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამ შეთანხმებით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის" (ხელშეკრულება: 1992).

როგორც ვიცით, ყარსის ხელშეკრულება დაიდო 1921 წლის 13 ოქტომბერს. ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა: რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურმა რესპუბლიკამ (რსფსრ), ანკარის მთავრობამ და სამხრეთ კავკასიის სამივე საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ. ყარსის ხელშეკრულება 20 მუხლისა და 3 დანართისგან შედგება. ამ ხელშეკრულებით რუსეთის სფსრ-მ და ანკარის მთავრობამ გადაინაწილეს ტერიტორიები და გაავლეს საზღვრები. ამ გადანაწილებამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჩამოაცილა მისი ისტორიული ნაწილი _ ართვინისა და არტაანის ოკრუგები. ბათუმის ოლქიდან მხოლოდ ბათუმი დარჩა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. ქალაქი ბათუმი იმდენად სრტატეგიული მნიშვნელობის ქალაქი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა მას ადვილად არ შეელეოდა და არც დაუთმია. 1923 წელს, როცა თურქეთის რესპუბლიკის დაფუძნება გამოცხადდა, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები მოექცა ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, როცა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა კვლავ მოიპოვეს დამოუკიდებლობა და დადგა საერთაშორისო დონეზე მათი აღიარების საკითხი, ისტორიული ტერიტორიების თემა თურქეთთან ბუნებრივია, ვერ და არ გააქტიურდებოდა. ამიტომ, 1992 წელს დანაარჩენმა მსოფლიომ საქართველო აღიარა იმ საზღვრებში, რომელიც დაახლოებით ემთხვეოდა (რათქმაუნდა, არა სრულიად) საქართველოს სსრ-ს საზღვრებს.

მოგეხსენებათ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება/აღიარება ნიშნავს იმას, რომ მას გააჩნია ოფიციალური სადემარკაციო ხაზი მეზობელ სახელმწიფოებთან, აქვს ეროვნული ჰიმნი, დროშა, ოფიციალურად გამოცხადებული სახელმწიფო ენა და სახელმწიფოსათვის მნიშვ-

ნელოვანი სხვა რეგალიები. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვარი, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულებით არის გამყარებული, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით აქვს მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან და ეს სასაზღვრო ზოლი მოხსენიებულია დაახლოებით 70 წლის წინ დადებულ ყარსის ხელშეკრულებაში. სწორედ ამიტომ მოხდა მისი დამოწმება ახალ ფუნდამენტურ ხელშეკრულებაში.

აქვს თუ არა ძალა ყარსის ხელშეკრულებას და ჩაითვლება თუ ვერა იგი მოქმედ ხელშეკრულებად? არა, რათქმაუნდა. ყარსის ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია. მასზე ხელმომწერი მხარეები იურიდიულად არ არსებობენ: რსფსრ დაიშალა (მართალია, მას ყავს სამართალმემკვიდრე, მაგრამ ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სუბიექტი სახელმწიფო იურიდიულად არ არსებობს); ანკარის მთავრობა გარდაიქმნა თურქეთის რესპუბლიკად; სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან. ანუ, ყარსის ხელშეკრულება ისტორიის საკუთრებაა. მაგრამ, ვიყენებთ მას, ვინაიდან ვახდენთ ჯერ კიდევ ამ ხელშეკრულებაში დაზუსტებული სასაზღვრო ხაზის აღიარებას საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკების ოფიციალურ სადემარკაციო ხაზად. შესაბამისად, ყოველგვარი სკეპტიციზმი და უარყოფითი მოლოდინების გაჩენა საზოგადოებაში, არის სრულიად უსაფუძვლო და არგუმენტებს მოკლებული. მსგავსი საქციელი გავს პროპაგანდის მეთოდების გამოყენებას გარკვეული მიზნებისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს დღემდე არ აქვს დაზუსტებული საზღვრები დანარჩენ სახმელეთო მეზობლებთან (რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან). დღემდე სასაზღვრო ზოლად პირობითად მიჩნეულია საბჭოთა კავშირის დაშლამდე არსებული სადემარკაციო ხაზები. თუმცა, იქაც არის გარკვეული უზუსტობები და გაუგებრობები, სადაო ტერიტორიები. სწორედ ამიტომაც, დღემდე ვერ მოხერხდა ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. არსებობს ჯერ კიდევ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს შექმნილი სასაზღვრო კომისიები, რომელთაც დღემდე არ დაუსრულებიათ მუშაობა ამ საკითხებზე.

დავუბრუნდეთ ისევ საქართველო-თურქეთის ფუნდამენტურ ხელშეკრულებას: იგი 15 მუხლისაგან შედგება და არავითარი საიდუმლო მუხლები და დამატებები არ აქვს.

ხელშეკრულების მეორე მუხლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და გამოკვეთს შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის მნიშვნელობას. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ: *„მხარეები ერთობლივი ძალისხმევით შეეცდებიან განავითარონ აღნიშნული თანამშრომლობა, ყოველმხრივ აამაღლონ მისი სტატუსი და ეფექტიანობა, დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ უთანხმოებების პოლიტიკური საშუალებებით გადაჭრას, რეგიონალური უსაფრთხოების და ნდობის სისტემის იდეის განხორციელების საქმეს“* (ხელშეკრულება: 1992) _ შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელშეწყობა არა მარტო საქართველო-თურქეთის ინტერესებშია და არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობას განავითარებს, ამ კუთხით მუშაობა ევროკავშირთან სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების დაახლოების საწინდარიცაა. საქართველოსადმი ევროკავშირის მომზადებულ რეკომენდაციებშიც არაერთხელ გაიჟღერა ამ იდეამ, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს, როგორც რეგიონული თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი, რომელიც უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება ევროკავშირისათვის, ვიდრე ცალკე აღებული ნებისმიერი ქვეყანა შავი ზღვის რეგიონიდან. თუ ეს კავშირი ევროკავშირის ალტერნატივად ჩამოყალიბდება და განვითარებული ეკონომიკური ზონა გახდება, ის იქნება უალტერნატივოდ საკვანძო რეგიონი ევრაზიის კონტინენტზე, რომელიც მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან აღმოსავლეთსა და დასავლეთს, მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ ეკონომიკურ მოთამაშეს ჩინეთს უფრო დაახლოებს ევროკავშირთან, საქართველოსა და თურქეთს მეტად დაახლოებს ევროკავშირთან, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლი ხაზს უსვამს იმას, რომ ორმხრივ თანამშრომლობაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები პრიორიტეტულია და მთელმა მომდევნო რამდენიმე

ათწლეულმა ეს ნამდვილად დაადასტურა ("ბიზნეს პარტნიორი": 2024). დღემდე ორ ქვეყანას შორის დაიდო 70-ზე მეტი ხელშეკრულება ვაჭრობის თავისუფლების, ვიზების გაუქმების, საბაჟო გადასახადების, ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მილსადენების, მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების და რკინიგზის ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ და სხვა (ჯანდიერი, 2016: 4-5). ეს ზედნაშენი ხელშეკრულებები, ბუნებრივია, ეფუძნება ჩარჩო ხელშეკრულებას.

თურქეთი 1995 წლიდან გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რამაც უფრო გამოაცოცხლა მისი ეკონომიკა. ამ პროცესებმა მოიტანა მისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების (და არა მხოლოდ) გაფართოება და საქართველოც ამ პროცესების ნაწილი გახდა.

თურქეთი წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ძირითადი სავაჭრო პარტნიორის სტატუსს საქართველოსთვის (ჯანდიერი, 2016: 10). 2024 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით კი, თურქეთი საქართველოს ექსპორტ-იმპორტიორი ქვეყნების ათეულში შედის (საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში, 2024: 4). დაახლოებით იგივე პოზიციას იკავებს თურქეთი 2025 მიმდინარე წელსაც.

ზოგადად კი პრიორიტეტული სფეროები ორმხრივ ურთიერთობებში ასე გამოიყურება: მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კომუნიკაციები, თავდაცვა - ამ მიმართულებებში თანამშრომლობა დღემდე საკმაოდ ნაყოფიერი და აქტიურია.

ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების დაძლევის ჭრილში ძალზედ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მე-13 მუხლი, რომელიც მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, არ დაუშვან საკუთარ ტერიტორიაზე ისეთი ორგანიზაციის, დაჯგუფების ან პიროვნებათა მოქმედების თავისუფლება, რომელთა ქმედება ზიანს მიაყენებს რომელიმე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს: "მხარეები კისრულობენ ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვან ისეთ ორგანიზაციად, დაჯგუფებათა თუ პიროვნებათა მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლას" (ხელშეკრულება: 1992). ეს მუხლი არის გარანტი, რომელზეც შეიძლება მყარი თანამშრომლობის აგება და დღემდე მხარეები ცდილობენ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. ამ მუხლის შინაარსი საკმაოდ ფართეა და მრავალმხრივ თანამშრომლობას მოიაზრებს.

თავდაცვის სფეროში 1992 წელს დაწყებული ორმხრივი თანამშრომლობა დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს. თურქეთი ეხმარება საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოებაში და ჯერ კიდევ წლების წინ აღებულ პასუხისმგებლობას მისი ხელისუფლება პირნათლად ახორციელებს. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა, რომელმაც საგრძნობლად აამაღლა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა და ქართველი ჯარისკაცების კვალიფიკაცია. ერთობლივი პროგრამების აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთ-ერთ ბოლო მაგალითს მოვიშველიებთ მხოლოდ: 2024 წლის ივნისში თურქეთმა საქართველოს გადმოსცა თურქეთის კომერციული და სამხედრო მანქანების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი კომპანიის - BMC-ის VURAN ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები (civil.ge: 2025). მაშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ამ ურთიერთობების მნიშვნელობასა და ინტენსივობას: „საქართველო და თურქეთი თავდაცვის სფეროში ხანგრძლივად და წარმატებულად თანამშრომლობენ ..." (civil.ge: 2025).

აღნიშნული ხელშეკრულების მე-8 მუხლით დათქმული იყო, რომ "მხარეები შექმნიან ხელსაყრელ პირობებს ორ ქვეყანას შორის მათი მოქალაქეების თავისუფალი მიმოსვლისათვის, საკონსულო ურთიერთობათა განვითარების მიზნით ხელს შეუწყობენ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერას" (ხელშეკრულება: 1992). წლების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობა 2006 წლიდან ახალ ეტაპზე გადავიდა: თურქეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაამარტივა და საქართველოს მოქალაქეებს თურქეთის ტერიტორიაზე უკვე უვიზოდ შეუძლიათ შესვლა. ორი ქვეყნის საზღვარზე მუშაობს სარფისა და ვალეს სასაზღვრო-გამშვები პუნქტები. 2007 წლიდან კი მორიგი

სასაზღვრო-გამშვები პუნქტი ამუშავდა, რომლისთვისაც 25 მილიონი დოლარი დაიხარჯა. 2011 წლის 31 მაისს კი თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ტაიპ ერდოგანმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთი მოდერნიზებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი გახსნეს სარფში (მანჩხაშვილი, 2024: 110).

მსჯელობა: საქართველოც და თურქეთიც სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოები არიან და მათი კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობები გავლენას ახდენს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული პარტნიორობა რომ სტრატეგიულ თანამშრომლობაშია გადაზრდილი, დიდი სარგებლის მომტანია ორივე მხარისათვის: თურქეთს სჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონი ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან მარტივად დასაკავშირებლად და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერობების გასაფართოებლად, საქართველოს კი სჭირდება მეტი კონტაქტები ნატოსთან. თურქეთმა დიდი ძალისხმევა ჩადო საქართველოს ნატოსთან დაახლოების პროცესში. ეს პროცესები კი პირველ რიგში ფუნდამენტური ხელშეკრულების საფუძველზე აშენდა.

დასკვნები: საქართველო-თურქეთს შორის 1992 წელს დადებული ფუნდამენტური ხელშეკრულება გამოდგა წარმატებული ხელშეკრულება, რომელმაც ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ურთიერთობების განვითარებას. მის ხელმოწერას მოყვა სხვა არაერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი შეთანხმების გაფორმება, რომელმაც მრავალმხრივ თანამშრომლობას მისცა ბიძგი. ოცდამეერთე საუკუნის პირველ ოცწლედში საქართველო-თურქეთის ურთიერთობები უკვე სტრატეგიულ თანამშრომლობაშია გადაზრდილი და ამ თანამშრომლობას ალტერნატივა არ აქვს. ქვეყნებს შორის უკვე მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც, რომელიც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური თანამშრომლობის გამყარებას.

თანამედროვე მსოფლიო გამოწვევების პირობებში ამ ორმხრივ ურთიერთობებს განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ, გაზ., „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, No62 (606) 26 მარტი.

კომახიძე ნ., მეზობელო კარისაო... საქართველო-თურქეთის ურთიერთობების თვისებრივად ახალი ეტაპი, სამშობლო, თბილისი, 1994.

გიგინეიშვილი ო., 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების მოკლე ისტორია თურქეთში, თბილისი, გამომცემლობა ცოდნა, 1989.

გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, გამომცემლობა ცოდნა, 1963.

კაციტაძე გ., საქართველო-ირან-თურქეთის მშვიდობიანი კავკასიის კონცეფცია, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 10, თსუ გამომცემლობა, 2003.

კომახიძე ნ., მეზობელი კარისაო. საქართველო-თურქეთის ურთიერთობების თვისებრივად ახალი ეტაპი, თბილისი, გამომცემლობაბა ვადარტა, 1994.

ლებანიძე ტ., თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2003.

მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

მაკარაძე ე., ნატო და კვიპროსის პრობლემა, ისტორია-ფილოლოგია I (შრომების კრებული), თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1998.

მანჩხაშვილი მ., თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014.